თბილისის სააპელაციო სასამართლოს

☐ სისხლის სამართლის საქმეთა პალატის

☐ სამოქალაქო საქმეთა პალატის

☐ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

☐ საგამოძიებო კოლეგიის

მოსამართლე ______________________________

მედიასაშუალება ______________________________

ჟურნალისტის ______________________________

# განცხადება

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13[1] მუხლის თანახმად, გთხოვთ, მომცეთ ☐ ფოტოგადაღების, ☐ ვიდეო, ☐ აუდიო ჩაწერის უფლება თქვენ მიერ 201__ წლის ________________ თვის _____ რიცხვში ________ საათზე ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე.

თარიღი: ______________________________

ხელმოწერა: ______________________________

*გაითვალისწინეთ:*

*(1.) სასამართლო პროცესის გადაღების უფლება აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ნებისმიერ მედიასაშუალებას.*

*(2.) აღნიშნული განცხადება გადაღების მსურველი მედიასაშუალების ჟურნალისტის მიერ წარდგენილ უნდა იქნას სასამართლოს კანცელარიაში <u>პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა</u>.*

*(3.) მნიშვნელოვანია, რომ გადაღების მსურველი მედიასაშუალების წარმომადგენლებმა (ჟურნალისტი, ოპერატორი, ფოტოგრაფი, პროდიუსერი და სხვ.) მოსამართლის სახელზე დაწერილ განცხადებას თან დაურთონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ე.წ „პრესქარდის" ქსეროასლები.*

*(4.) სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება და ვიდეო ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. ჟურნალისტებისათვის დაუშვებელია მიკროფონის ან სხვა აუდიოჩამწერი აპარატურის განთავსება სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) სამუშაო მაგიდაზე, მხარეთა მაგიდაზე, მოწმის მიერ ჩვენების მიცემისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, ბრალდებულის განთავსების ადგილზე, სხდომის დარბაზის გამყოფ ბარიერზე.*

*(5.) გადაღების დროს დაუშვებელია სასამართლო დარბაზში მოძრაობა, ხმაურის, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია წესრიგის დამრღვევს დაატოვებინოს სასამართლო დარბაზი.*